

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო**

**აცხადებს კონკურსს იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე**

**თანამდებობის დასახელება: იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 23.10. 2017**

**ყოველთვიური დასაბეგრი შრომის ანაზღაურება: 2100 ლარი**

**სამუშაო ადგილი: ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა N41**

**გამოსაცდელი ვადა: 06 თვე**

**ფუნქციები:**

- ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას
- ახორციელებს კონტროლს სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაზე
- პასუხისმგებელია მაუწყებელში მომზადებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტაციის სისწორესა და გამართულ შედგენაზე
- დირექტორის დავალებით, ახორციელებს მაუწყებლის წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში
- ორგანიზებას უკეთებს სახელმწიფო შესყიდვების პროცესს
- ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და კურატორი მოადგილის სხვა დავალებებს (დამატებითი ინფორმაცია სამსახურებრივ ფუნქციებსა და სამსახურის სტრუქტურაზე შესაძლებელია იხილოთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://adjaratv.ge>) განთავსებულ სამსახურის დებულებაში)

**მოთხოვნები:**

- მინიმალური განათლება: ბაკალავრი
- მინიმალური სამუშაო გამოცდილება: 2 წელი
- პროფესია: იურისტი

**წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- CV
- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი
- სამოტივაციო წერილი
- დიპლომის ასლი
- გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი
- მოსამართლის ან ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი
- ორი პირის რეკომენდაცია

**საკონკურსო თემატიკა:**

- საქართველოს კონსტიტუცია
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი
- სიფყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 ივნისის N2 ბრძანებით დამტკიცებული წესი
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

#### კონკურსის ეტაპები:

- განაცხადების გადარჩევა
- წერიტი დავალება
- გასაუბრება

#### დამატებითი ინფორმაცია:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. დაინტერესებულმა პირმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([HR@ajaratv.ge](mailto:HR@ajaratv.ge));
3. დაინტერესებულმა პირმა გამოსაგზავნი ელექტრონული ფოსტის სათაურში (Subject) უნდა მიუთითოს ვაკანტური პოზიციის ზუსტის დასახელება;
4. დაინტერესებული პირის მიერ არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება;
5. კონკურსი მოიცავს:
  - 5.1. წარმოდგენილი განაცხადების გადარჩევას;
  - 5.2. წერიტი დავალება - (გასაუბრებაზე - გადავა მხოლოდ ის კანდიდატი რომელიც წერიტი დავალებებში დააგროვებს სწორი პასუხების 2/3 -ს და მეტს)
  - 5.3. გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან;
6. დაინტერესებულ პირს კონკურსთან დაკავშირებული (განაცხადის რეგისტრაცია, დადებითი/უარყოფითი პასუხი) ინფორმაცია ეცნობებათ მითითებული ელექტრონულ ფოსტის მისამართზე;
7. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში;
8. კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2017 წლის 08 მაისის N02-03/10 ბრძანებით დამტკიცებულ წესში (გამოქვეყნებულია <http://ajaratv.ge>);

#### საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე  
 მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41  
 ტელ: 27 43 70; მობ: 577 23 26 07  
 ელ-ფოსტა: [HR@ajaratv.ge](mailto:HR@ajaratv.ge)